

1

თავგანწირულება მონარხისული სალდათები-
სა თავის უფროსის ლანტენაკი დენერალი-
სათვის. მს თავგანწირულება სალდათებისა,
რასაკეირველია, გასაკვირია და ამისათვის
ჰიუგოს კიდეც მიუქცევია თავისი გამჭრიახი
გონება. რადგან სალდათებს ამ ღენერალის
იმედი აქვთ, რომ მხოლოდ ის შეიძლებს
ლუი მეთექსმეტის შვილის დასმას საფრან-
გეთის ტახტზე, ამისთვის არა ჰზოგავენ იმის
სიცოცხლის დასაცემლად თავის თავს. შო-
ველს ლონის-ძიებას ხმარობენ, რომ ის გა-
დაარჩინონ სიკედილს, როცა მას ზღვაში,
ინგლისიდგან წამოსელის დროს, რესპუბლი-
კელების ჯარები თავს დაესხნენ და ექა-
დოლნენ მოკვლას. ხომალდი, რომელშიაც
ღენერალი იჯდა, რესპუბლიკელებისაგან საში-
შარს მდგომარეობაში იყო და აუცილებლად
მოელოდა თავის დალუბეას. ამ გვარს მდგო-
მარეობაში სალდათები მოეხვივნენ ლან-
ტენაკს და უთხრეს: “შენ სარდალი ხარ, შენი
სიკედილი საღმოვ და სამეფო საქმეს ავნებას; ჩვენ
უძრავო სალდათები ვაჩთო; ჩვენი სიკედილით ჩვენ
წმინდა საქმეს არა დააკლდება რაო; მაგრამ შენი
სიკედილით კი დიდად ევნებაო.”

სალდათების ეს თავგანწირულება თავის
საქმის აღსასრულებლად ჰიუგოს ისრე დი-
დათ მიაჩნია, რომ სალდათებს მოხსენებულ
სიტყვებს ათქმევინებს და მერმე ფრჩხილებ-
ში-და სკამს მეც ვიტყვი, რომ თავგანწირუ-
ლება გულითადი სურვილის აღსასრულებ-
ლად ძლიერ მოსაწონია, ვინც გინდ იყოს
და რაც გინდ მიზანი ჰქონდეს. ცეკლა კაცი,
ვისაც კი აქვს რამე საქმე განზრახული სა-
ყოველთაოდ საკეთილო, უნდა შესწიროს
თავისი თავი. მს არის საღმთო მოვალეობა
ყოველი კაცისა.

თუ რომ საჭიროა ჩევნი ხალხისათვის ამ
გვარი თავგანწირულების მაგალითების თქმა
საფრანგეთის ცხოვრებიდან, რათ დარჩება
უსარევებლოდ, რომ ამ გვარივე მაგალითები
იმას თავისივე მამა-პაპის წარსულ ცხოვრება-
ში ეუჩიენოთ. თუ 1793 წელს ფრანგებსა
ჰქონიათ ამისთანა თავგანწირულება; მე ვი-
ტყვი რომ ჩევნი ქართველები არაოდეს არ
ყოფილან ამას მოკლებულნი თავის წარსულ
ისტორიულს ცხოვრებაში. შეონდ კი სა-
ქართველოს ერს არაფერი ვნება მისცემოდა
მტრისაგან, ოღონდ კი იმას ბედნიერად
ეცხოვრნა და მტერს არ აეკლო, არ აეოხ-
რებინა და არ დაწიოკებინა ქართველი
ხალხი, კერძო პირნი არა ზოგადნენ თა-
ვიანთ სიცოცხლეს, ვაჟკაცურად და შეუკრ-
თომლად სიკედილს ეგებებოდნენ. ამის
დასამტკიცებლად მე მოვიყვან შართლის
ცხოვრებიდან ერთს ისტორიულს მოთხო-
ბას, რომლიდგანაც სჩანს, რომ ფრანგების
სალდათებზე უფრო უმეტესად ბატონისთვის
თავ შემწირველნი ყოფილან ქართველები
მე XIII საუკუნეში.

1215 წლიდგან ვიდრე 1230 წლამდე
მონგოლების ოთხმა ნოინმა—ლენერალმა
და იქტირეს აღმოსავლეთის საქართველო და
შეფერი რუსულანი მფილისში ვეღარ დადგა
და გაიქცა იმერეთში. 1231 წელს ნოინებმა
რუსულანს მიუგზავნეს მოციქული და შე-
უთვალეს, რომ შენს შვილს დავით-ნარინს
საქართველოში მეფობას მიეცემთ, თუ
მოხეალ და შეგვირიგვდებით. რუსულანი თა-
ნახმა გახდა. ზადმოვიდა მფილისის ქალაქ-
ში. საქართველოს თავადი შვილები მას წინ
მიეგებნენ. იმათში ერთა აგრეთვე სამცხეს
ათაბაგი ავაგიცა. ამ კაცს მონგოლები ძა-
ლიან დიდს პატივესა სცემდნენ, ამისათვის
რომ ის კარგი მეომარი მხედარი და სამეფო
საქმის მცუდნე იყო. ათაბაგობა ამას რუ-
სულანმა მისცა. ძლიერ ერთგული შვილი

იყო საქართველოსი და ჰესურიდა მისთვის
ბეღნიერება. ამ კაცის შთაგონებით ნოინებ-
მა მოიწოდომეს დავით-ნარინის საქართვე-
ლოში გამეფება. მაგრამ რუსულანთან და-
დებილი პირობა ნოინებმა ვერ აღასრულეს.
იმათ ნება არ ჰქონდათ ყაენის დაუკითხა-
ვათ მეფის დასმისა. ამ დროს უპირატეს
ყაენად იყო მანგუ და იჯდა შარაყურუმში
— ძირაიაში და ყველას მეფობას ეს ყაენი
ომტკიცებდა. და იმ ახლა დაეითისათვის
მეფობის დასამტკიცებლად სამცხის ათაბაგი
ავაგი გაგზავნეს მანგუსთან და თან გაატა-
ნეს საჩიუქრად დიდად მოკაზმული ქართული
ძული, აბჯარი, ტანისამოსი და წერილი.
მანგუმ ავაგი კარგათ ისტუმრა, მაგრამ და-
ეითის მეფობაზე არაფერი უთხრა და რამ-
დენიმე ხნის შემდეგ უპასუხოდ გამოუგზა-
ვნა რუსეთში ბათო (Батый) ყაენს, რომელ-
აც, რუსეთის გარდა, ეჭირა მესეთი და
მიეჩაუეთი. ავაგი ძალიან დაღონებული წა-
მოვიდა რუსეთში. „ბევრი იარეს — ცოტა
არეს“ უგზო უკლოდ და როგორც იყო
მოვიდნენ რუსეთში. ავაგ ათაბაგს თან ან-
თლა იგანე ახალციხელის შეილი დაეითი

რომელიც პავაგის ეჯიბი (კამერგერი) იყო. ჩადგანაც არც პავაგმა და არც დაითმა არ ცუდნენ მიზეზი, თუ რათ გამოუყვანა ანგუ ყაენმა ისინი რუსეთში ბათო ყაენს, მისითვის დავითმა უთხრა პავაგს: „ვინაიდგან უცხოთა ნათესავთა მიმართ მოყიწიენით, და არა უწევით, თუ რა ყოფადას ჩვენდა, ესრეთ განგაძრახებ, რათა იქმნე მე ვითარდა პატრონი და მთავარ შენდა, და მენ იქმნე მონა: უკეთუ ენგბოს მოკვდინება შენი, ე მოვიყდა, და არა შენ, და აჩლარა ვიჰვა, უკეთ ატრონი მოიკლას, ყმათაცა დახოცად.“ ამის გამგონ-

ა ს ა გ მ ა დ ი დ ი უ ა რ ი უ თ ხ რ ა ი მ ი ს ა თ ვ ი ს თ ა ფ -
კ ა ნ მ წ ი რ ე ე ლ ს დ ა ვ ი თ ს დ ა უ პ ა ს უ ხ ა : “თ უ ჩ ე მ -
თ ვ ი ს ა რ ი ს ს ი ც ი ც ხ ლ ე ს ა ნ უ კ ვ ა რ ი , ა გ რ ე თ ვ ე ,
შ ე ნ თ ვ ი ს ა ც ა ; ჩ ე მ ი ს გ უ ლ ი ს თ ვ ი ს შ ე ნ რ ა თ ლ ნ -
დ ა მ ო კ ვ დ ე ღ მ , ლ უ ბ ნ ე ბ რ ლ დ ა ა გ ა გ ი . მ ა გ რ ა მ დ ა -
ვ ი თ ი ა რ მ ო ე შ ვ ა დ ა უ მ ტ კ ი ც ე ბ დ ა , რ ო მ შ ე -
რ ი ს ი ც ი ც ხ ლ ე ს ა ჭ ი რ ო ა ჩ ე ნ ი დ ა ლ უ ბ უ ლ ი
ა ლ ხ ი ს ა თ ვ ი ს , შ ე ნ ი ს ა ხ ე ლ ი დ ა ხ მ ა ლ ი ს ა -
ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს შ ე ი ლ ე ბ ს ა მ ხ ნ ე ვ ე პ ს გ ა ს ა ჭ ი რ ს
დ ლ ე შ ი თ დ ა მ ე კ ი ა ბ ა რ ა გ ა რ , რ ი ს თ ვ ი ს დ ა
ვ ი ს თ ვ ი ს რ ა მ ა ქ ნ ი ს ი , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს
რ ა შ ი გ ა მ ო ს ა დ ე გ ი . ა მ ი ს ა თ ვ ი ს დ ა ე მ ე მ ო ვ -
კ ვ დ ე , შ ე ნ კ ი ც ი ც ხ ა ლ ი ი ყ ა ვ ი ი მ . ბ ო ლ ი ს
ა გ ა გ ი თ ა ნ ა ხ მ ა გ ა ხ დ ა . მ ო ვ ი დ ნ ე ნ რ უ ს ე თ შ ი .
ა მ ა თ ი ნ ა ხ ე ა ბ ა თ ი კ ა ე ნ ს დ ი დ ა თ გ ა უ ხ ა რ დ ა
დ ა რ ა მ დ ე ნ ი მ ე დ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ი ბ ა შ ი დ ა ე ი თ ი
ა გ ა გ ი ს ბ ა ტ ი რ ი ი ყ ა მ დ ა უ პ ი რ ა ტ ე ს ი ბ ი თ ს პ ა -
რ ი ს ა ს კ ი მ ა ბ ა თ ი დ ა ე ი თ ს , გ ი თ ა რ კ ა ს ა გ ა -

გის ბატონს. მაგრამ დაეითმა და პვაგმა რომ
„სცნეს კეთილის ყოფა ბათოსაგან და უშიშ იქმნეს
სიყველილისაგან, ერთსა დღესა შეუწოდა ბათო, და
პვაგ წინა წარუძღვა დავითს: ესე რა იხილა ყან-
მან, განკვირებით შემხედველი ეტყუდა პვაგს: არა-
სადამე მიცნიერ ხარა, ვითარმედ პატრიონი არს შე-
ნი, რომელი უკანის შენსა დგას, და შენ წინასწარ-
მომძღოლი ხარო: ხოლო დავითი ღმილით ეტყუ-
და: დიდო და გამარჯვებულო ხელ-მწიფეო, ევე არს
პატრიონი და ზე მონა მისი:“ ბათოს ძალიან გა-
უკირდა და გამოჰკითხა, რა იყო მიზეზი
ასრეთი ქცევისაო. დაეითმა მიუგო: „მის ძა-
ლით ასე ვცავთ, დიდო ყანო, რომელ არა შეი-

ნიერნი ვართ სიკეთისა შენისა, და რასა შევგამზევევ-
დით—არა უწყოდით: უკეთუ გენება მოკედინება ჩვე-
ნი, მემტა მოგვეალ უწინარეს, და არა პატრონი ჩქ-
მი.“ ბათოს ძლიერ გაუკვირდა და მოეწო-
ნა დაეითის თავგანწირულება და ქებით
უთხრა პვაგს და დაეითს: „უკეთუ ნათესავი
შაროველთა ეგე-ვითარი არს, ვბრძანებ, რათა რაო-
დენიცა ნათესავნი არიან მორჩილებსა ქვეშე ჩვენ
ყაენთასა, ყოველთა უმაღლესად აღვრაცხნე და მამუ-
ლი და საქონელი თქვენთა ხელთა იყოს, და ყოველ-

უცხო ქვეყნები

၁၂၃၆၁၅၃၂၀၀

აპარტელი ბურვოენის ამორჩევის დეპუ-
თ დიდი ცელილება მოუხდენია პარ-

ჭყიქრობენ, რომ საფრანგეთის შმართველი
მალე მოიწოდებენ ხელახლავ ტიერს
კა ეს ცბიერი მოხუცი ჭი უარზედ
ს და ამბობს, რომ მე აწ შესენებ.

ბამბეტას შესანიშნავი სიტყვა წარმოუთქ
ოქსერში ხალის წინ. ის ურჩევდ
ს, რომ „რესუბლიკის გამარჯვება
იყო, რადგანაც მარტო რესპუბლიკას შე
ია მოგანიჭოსთ თავის სუფლება და სამარ
ი. ნამეტურ ცარეთ და გესლინაა
პარაკნია ბონაპარტელებზედ, და თერთ
ებდა მსმენელებს, რომ ამ პარტია
ვ აღარ დაენდონ.“ ორატორს ხშირ
ად აწყვეტინებდა აღტაცებული ხალხ
ვას ტაშის ცემით და ყვირილით „გაუ
კოს რესპუბლიკა! გაუმარჯოს გამბე

-30 ମାର୍ଗସ ଦୀପିତ୍ରାଳ ସାଶିନ ଲାଙ୍ଘ ଉଲ୍ଲାଙ୍ଘ
ମତେଣି ନାପିନାଲୁହି କ୍ରେଦି ଶ୍ରେଷ୍ଠ
ରିଲ୍ କ୍ରେଷ୍ଟିଲ୍ ଯରିଲା. ଦୀପିତ୍ରାଳ ଉତ୍କାଶ
ଶାଶ୍ଵେତରିଣ ଲା ଫୋନାନ୍ତି ମିନିସିରୁହେ
ତାରତ୍ରେଣ ମନନାଥିଲ୍ ଏହିନାନ ଲା ମତେ
ଏ ନାପାଲୁହିରି ତାରିତ୍ରାଳ କାନ୍ତିରୁହିଦିଅ
ଦ୍ୱୀପିଲି ତାରମନ୍ତିରାଳ ଏହିନାନ ଶ୍ରେଷ୍ଠ

უნდა აეტება აა სიტყვეს.
—ნაციონალურ კრებაში კინალამ მზურებელები მისულა საქმე. ანრი ბრისონი, რომ იც უკიდურესი ჩესპერბლიკელია, შედგუნაზედ და თხოვლობს, რომ პალ

ტამ კენჭის ყრის კანონს არ შეეხოს, რად-
განც თითონ ეს პალატა იქ შეეტნებულის
აღრჩეულია, რომელსაც ეხლა უბარებდნ
ხმის წართმევას. მაშინ საფუძვლებით — ემსტების
ბრისონ — ან რეეოლიუციის ხედრათ შე-
იქნება ან და ბონაპარტელების. მა დამ-
ლუბველ პარტიას, რომელმანც სედანიდვან
პარიჟში მოიყვანა გერმანიელები, ეხლა კი-
დევ ახალ იარაღს ველაზ მიესცემთ ხელში.
პალატამ ერთხელ ჩამოაგდო ტახტიდამ სა-
მუდამოთ ნაპოლეონის სახლობა თავისი გა-
დაწყვეტილებით და ეხლა კი ისევ უსირ-
(ეხვილოთ და თამამათ იშედოვნებს ეს პარ-
ტია..“

ამაზედ ბონაპარტისტები აყაყან დნენ. მუშა-
ტების ჩევნება და თვალების ბრიალი დაუწყეს
რესპუბლიკელებს.

რესუბლიკელებიც გაცხარდენ და უძანიან ბონაპარტელებს: თქვენ ავაზაკები ხართ! „ამ ღრმას ერთი ბონაპარტელის ხმა ნათლად შოისმის: „დაიცადეთ! გაყურებინებთ

თქვენს სეირს, გაგაჩუმებთ ერთ დღეს.“
ამ სიტყვებზედ მთელი კრება აღელდება.
ტესტელენ წამოგარდება თავის სკამიდამ, გა-
ცეცხლებული მიგარდება იქ, საიდამაც პა-
ლატის გამლანძლველი სიტყვები მოისმა-
სმას გადაჰყენ გამბეტას მოშხრ ჩესპუ-
ლიკელები: მდონ ადან, შესანიშნავი ქურ-
ნალისტი მდუარდ ლოკრუ, შორე, პერენ,
მურდინერი და სხვები. მაგრამ ბონაპარტე-
ლების სკამბზედ ერთი კაციც აღარ არის,

ଗାନ୍ଧାରୀଙ୍କ ଖରଣିଲୁ ଯିଶ୍ଵିଲୁଗେ ରୀତିରେ
ତର୍କ୍ୟାନ୍ତିରେ ପାଦିଲୁ ପାଦିଲୁ ପାଦିଲୁ

— Ամենածանր ցոտոմը ճանալու համար մասնակի պատճեն է առաջարկվում է այս գործությունը։

Յանոց, 26 օսուս 1874 թ:

მას აქეთ რაც ოქვენგან დეპტა მიეიღე, ისე გულ-მოდეინეთ აღარ დაეთარები ვერ-
სალში და მაინცა და მაინც აღარ ვცდილობ, დაწვრილებით შევიტყო ის პარლამენტალუ-
რი ბრძოლა, რომელიც ასე ხშირად და ასე
უნაყოფოდ იმართება იქ. მის მაგიერად, ეხ-
ლა; როგორც ნამდვილი პარიჟელი გაზეთის
რაპორტერი, ისე დაეწინავლებ პარიჟში და
იმის ახლო-მახლო ალაგებში—იქნება, ისე—
თი რამე ვნახო ან შევიტყო, რომელიც
თქვენთვის საინტერესო და თან გამოსადე—

ზუშინაწინ, მაგალითად, ნანტერში ერთი
ახირებული ჩეცულება გავიცანი საფრანგე-
თის სალნისა. ზავიცანი კი არა, ჩემის თვა-
ლით ანახო ამ ჩილოლის აქტოლი.

წელიწადში ერთი დღეა, რომელსაც ყველა
ლა აქაური გაუთხოვარი ქალები გულის
ძგერით მოელიან. ამ დღეს „როზიერის
დღეობას“ (Fête de la Rosière) ეძახიან.
სოფლის მოთავე კაცები (მერი და მუნი-
ციპალური რჩევა) მთელი სოფლიდამ ამო-
არჩევენ ერთ ისეთ გაუთხოვარ ქალს, რო-
მისი (ამ წლის განმავლობაში თორო ჭიდვა-

ანი“ იყო, რომელმაც სხვებზე უკეთესი ზნე-
ობა და ყოფა-ქცევა გამოიჩინა, რომელმაც,
ერთის სიტყვით, საშაგალითო ზნეობითი სა-
ხელი დაიმსახურა—და ამ დღეს მუზიკითა
და დიდის ამბით მიიღვანებენ ეკკლესიაში,
უმანკოების ნიშანად თეთრი ყვავილების
გვირგვინს დააღმენ თავზე და სხვა და სხვა
ნივთებით დაჯილდოებენ. ამის შემდეგ ამ-
ქალს „როჩიერს“ ეძახიან, იმის კარგი სახე-
ლი და ზნეობა დამტკიცებულია, საუკეთე-
სო სამრთელი მისამართი არის.

ବିନ୍ଦୁ, ଏଥିରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ნასაღილების ორ საათზე ნანტერის სამე-
როვსთან თავმოყრილი ხალხი დაიძრა; წინ

